

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს 2010-2011 სასწავლო
წელს უელსის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი)
1 წლით სასწავლებლად მივლინებასთან დაკავშირებით

კონკურსი ტარდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უელსის უნივერსიტეტს (დიდი ბრიტანეთი) შორის დადებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აწსუ საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მაგისტრატურის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. კონკურსის შედეგად შეირჩევა ერთი კანდიდატი.

აუცილებელი პირობაა ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა.

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2010 წლის 7 მაისი.

კონკურსი ჩატარდება 2010 წლის 10 მაისს.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველები დაწვრილებითი ინფორმაციისა და საგანაცხადო ფორმისათვის გთხოვთ მობრძანდეთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურში. აწსუ III კორპუსი, V სართული, ოთახი №3504

ტელ: 4 57 84